ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლაკონური და ყოვლისმომცველი ვედრება უყვარდა, სხვა ნაირ ვედრებას კი ერიდებოდა

აიშასგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თქვა: «ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ლაკონური და ყოვლისმომცველი ვედრება უყვარდა, სხვა ნაირ ვედრებას კი ერიდებოდა ».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა და აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამჯობინებდა მოკლე, მაგრამ შინაარსით ღრმა ვედრებას, რომელიც მოიცავდა ამქვეყნიურ და საიქიო სიკეთეს, უზენაესი ალლაჰის შექებას და კეთილ მიზნებს, და არ მიმართავდა სხვაგვარ ლოცვებს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5886